



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

**2021**

მარტი

02.04.2021

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.04.2021

## ინფლაცია საქართველოში 2021 წლის მარტი

2021 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 4.2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.2 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას<sup>1</sup>, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის მარტში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის<sup>2</sup> მაჩვენებელი 6.6 პროცენტით განისაზღვრა.


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

### პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

%

|  |      |
|--|------|
| სურსათი და უალკოჰოლო სასმელები   | 1.5  |
| ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო  | 0.9  |
| ტანსაცმელი და ფეხსაცმელი   | -1.9 |
| საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 36.1 |
| ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება               | 0.2  |
| ჯანმრთელობის დაცვა   | 3.6  |
| ტრანსპორტი   | 2.6  |
| კავშირგაბმულობა  | 0.1  |
| დასვენება, გართობა და კულტურა  | 0.2  |
| განათლება  | 0.4  |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები                                       | 2.6  |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება                                       | -0.1 |

### ჯგუფების წვლილი\* 2021 წლის მარტის ინფლაციაში (სულ 4.2%)



### ინფლაციის დონე, სულ

4.2

პროცენტული პუნქტი

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

<sup>1</sup>საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

<sup>2</sup>თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.04.2021

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 36.1 პროცენტოვანი მატება, რაც 2.97 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (58.0 პროცენტი) და ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები (51.4 პროცენტი);

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.5 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.45 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (3.8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (3.7 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (2.7 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2.1 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (1.3 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (1.1 პროცენტი);

**ტრანსპორტის ჯგუფში** ფასები გაიზარდა 2.6 პროცენტით, რაც 0.34 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.3 პროცენტი);

**ჯანმრთელობის დაცვა:** ჯგუფში ფასები მომატებულია 3.6 პროცენტით, რაც 0.27 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინდექსზე. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის (6.3 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურების (1.8 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2021 წლის მარტის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.


## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.04.2021

### პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

| კატეგორია                             | წილი (%) |
|---------------------------------------|----------|
| სურსათი და უალკოჰოლო სასმელები        | 5.7      |
| ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო         | 8.9      |
| ტანსაცმელი და ფეხსაცმელი              | -0.1     |
| საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი | 7.6      |
| ავტო, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა   | 12.0     |
| ჯანმრთელობის დაცვა                    | 13.6     |
| ტრანსპორტი                            | 5.8      |
| კავშირგაბმულობა                       | 0.5      |
| დასვენება, გართობა და კულტურა         | 3.2      |
| განათლება                             | 1.4      |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები    | 7.7      |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება    | 9.0      |

### ჯგუფების წვლილი 2021 წლის მარტის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 7.2%)



ინფლაციის დონე, სულ

7.2

● პროცენტული კონსტიტუცია ●

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 5.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1.86 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (35.8 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (13.7 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13.0 პროცენტი), თევზგული (12.2 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (8.5 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (7.7 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (5.0 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.0 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია ხილსა და ყურძენზე (-8.6 პროცენტი) და ბოსტნეულსა და ბალჩეულზე (-12.0 პროცენტი);

**საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 7.6 პროცენტიანი მატება, რაც 1.24 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (7.9 პროცენტი), ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები (7.8 პროცენტი) და წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (4.5 პროცენტი);

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.04.2021

**ჯანმრთელობის დაცვა:** ჯგუფში ფასები მომატებულია 13.6 პროცენტით, რაც 1.03 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინდექსზე. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის (21.3 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (12.0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

**ტრანსპორტის ჯგუფში** ფასები გაიზარდა 5.8 პროცენტით, რაც 0.77 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (8.8 პროცენტი);

**ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 12.0 პროცენტიანი მატება, რაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.67 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საოჯახო საფეიქრო ნაწარმი (17.4 პროცენტი), მინის ჭურჭელი, მაგიდის და საოჯახო ჭურჭელი (16.4 პროცენტი), ინსტრუმენტები, მოწყობილობა და ტექნიკა სახლისა და ბალისთვის (14.2 პროცენტი), გამათბობელი და საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობა, მაცივრები, საყინულეები, სარეცხი მანქანები და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები, დაყენებისა და რემონტის ჩათვლით (12.2 პროცენტი), ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი და მომსახურება (11.0 პროცენტი), ავეჯი, საოჯახო ნივთები, ხალიჩები და სხვა იატაკის საფარი და რემონტი (9.6 პროცენტი);


**ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8.9 პროცენტიანი მატება. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.56 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (12.1 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (6.2 პროცენტი);



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


02.04.2021

### ყოველთვიური ინფლაცია



### წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)




## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.04.2021

### საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



#### საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული

ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)

E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)